ოქმი:**ო37. 3726289001**

თარიღი:**16/10/2026**

ოქმი N 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის

2026 წელი, 16 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

12:00-13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - დ. კიკვაძე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: პ. კიღურაძე; ტ. აროშიძე; მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ.ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე; საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე;

საკრებულოს წევრები: კ. კვაჭაძე, ზ. სურგულაძე, ნ. ჭანიშვილი, თ. ქავთარია, ვ. ხავთასი, ხ. ცერცვაძე, ნ. ურუშაძე, გ. კალანდაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. გაბისიანი,გ. მდინარაძე, დ. ასათიანი, თ. ქინქლაძე, ნ. გობრონიძე, ლ. მესხი, მ. ცქვიტიშვილი, გ. კილაძე, ე. წუწუნავა, ქ. კვაჭანტირაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, ლ. კვაჭაძე, გ. სირაძე, ლ. ქვილორია.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე. საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, შემდეგ გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი, რომლიც დამტკიცეს - 34-ხმით.

დღის წერიგი

66.1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე 1194.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N26.26.52.697) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ პროექტზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

26.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა34 -ხმით

3. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი